

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3-4
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება--	5-6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7-8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-21

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
		12/31/2019	1/1/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,071,021	2,560,115
		2,071,021	2,560,115
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	232,305	17,413
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,510,479	1,308,906
მარაგები	7	109,589	88,062
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	35,100	4,018
		1,887,473	1,418,399
მთლიანი აქტივები		3,958,494	3,978,514
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,977,550)	(2,344,211)
		(1,977,550)	(2,344,211)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	2,467,789	2,793,102
		2,467,789	2,793,102
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	18,700	379,750
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	3,309,287	2,903,929
საგადასახადო ვალდებულებები	12	31,524	40,329
გადასახდელი პროცენტი	13	108,744	205,616
		3,468,254	3,529,623
მთლიანი ვალდებულებები		5,936,044	6,322,725
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,958,494	3,978,514

2019 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ბაკურ ლაშქარავა

9-21 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი			
		12/31/2019	1/1/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,071,021	2,560,115
		2,071,021	2,560,115
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	232,305	17,413
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,510,479	1,308,906
მარაგები	7	109,589	88,062
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	35,100	4,018
		1,887,473	1,418,399
მთლიანი აქტივები		3,958,494	3,978,514
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,977,550)	(2,344,211)
		(1,977,550)	(2,344,211)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	2,467,789	2,793,102
		2,467,789	2,793,102
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	18,700	379,750
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	3,309,287	2,903,929
საგადასახადო ვალდებულებები	12	31,524	40,329
გადასახდელი პროცენტი	13	108,744	205,616
		3,468,254	3,529,623
მთლიანი ვალდებულებები		5,936,044	6,322,725
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,958,494	3,978,514

2019 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ბაკურ ლაშქარავა

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
		12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	14	4,414,150	4,064,711
თვითღირებულება	15	(397,616)	(477,816)
საერთო მოგება		4,016,534	3,586,895
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,325,597)	(1,780,344)
მიწოდების დანახარჯები	17	(2,015,460)	(1,326,622)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(98,088)	117,888
სხვა ხარჯები	19	(49,526)	(154,248)
საოპერაციო მოგება		527,862	443,569
ფინანსური შემოსავალი	20	43,322	69,950
ფინანსური ხარჯი	21	(204,523)	(284,491)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(161,201)	(214,541)
მოგება დაბეგვრამდე		366,661	229,028
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		366,661	229,028
მთლიანი სრული შემოსავალი		366,661	229,028

2019 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ბაკურ ლაშქარავა

9-21 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
		12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	14	4,414,150	4,064,711
თვითღირებულება	15	(397,616)	(477,816)
საერთო მოგება		4,016,534	3,586,895
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,325,597)	(1,780,344)
მიწოდების დანახარჯები	17	(2,015,460)	(1,326,622)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(98,088)	117,888
სხვა ხარჯები	19	(49,526)	(154,248)
საოპერაციო მოგება		527,862	443,569
ფინანსური შემოსავალი	20	43,322	69,950
ფინანსური ხარჯი	21	(204,523)	(284,491)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(161,201)	(214,541)
მოგება დაბეგვრამდე		366,661	229,028
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		366,661	229,028
მთლიანი სრული შემოსავალი		366,661	229,028

2019 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ზაკურ ლაშქარავა

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	(2,344,211)	(2,344,211)
წმინდა მოგება	-	-	366,661	366,661
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	366,661	366,661
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,977,550)	(1,977,550)

2019 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი----- ბაკურ ლაშქარავა

9-21 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	(2,344,211)	(2,344,211)
წმინდა მოგება	-	-	366,661	366,661
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	366,661	366,661
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,977,550)	(1,977,550)

2019 წლის დეკემბერს დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ბაკურ ლაშქარავა

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რუსთაველი ჰოლდინგ სინემას (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ინგოროყვას ქ. №21.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია ბესიკ აბესაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფილმების ჩვენება და სარეკლამო მომსახურება.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარებში), რომელიც წარმოადგენს კომპანიის წარსადგენ და სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 და 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და 2019 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

საადრიცხო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა მასზე საკუთრების უფლება.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება, როდესაც ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 1 იანვრიდან შემოღებული ცვლილებით, რომელიც გულისხმობს მიღებული ავანსების დღე-ით დაბეგვრას).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე

არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

იჯარა

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

სხვადასხვა დანადგარები	5-10	წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10	წელი
ელ.მოწყობილობები	5-10	წელი

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ

მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შენიშვნა 4

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 01 იანვრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2018	1,215,669	580,944	1,251,007	6,202	3,053,822
შემოსვლა		7,840	750	-	8,590
გასვლა	-	-	(8,389)	-	(8,389)
31 დეკემბერი 2019	1,215,669	588,784	1,243,368	6,202	3,054,023
ცვეთა და გაუფასურება					-
31 დეკემბერი 2018	(171,122)	(119,190)	(202,595)	(800)	(493,707)
პერიოდის ცვეთა	(171,122)	(120,958)	(201,636)	(800)	(494,516)
გასვლა	-	-	5,221	-	5,221
31 დეკემბერი 2019	(342,244)	(240,148)	(399,010)	(1,600)	(983,002)
წმინდა საბალანსო ღირებულება					-
31 დეკემბერი 2018	1,044,547	461,754	1,048,412	5,402	2,560,115
31 დეკემბერი 2019	873,425	348,636	844,358	4,602	2,071,021

ცვეთის მეთოდი - წრფივი

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ დანადგარის გასხვისებით მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 01 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შეზღუდული ფული*	671	1,424
ფული სალაროში	24,631	14,500
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	206,627	1,489
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	376	-
სულ	232,305	17,413

*შეზღუდული ფული წარმოადგენს თანხას, რომელიც ჯერ არ არის ასახული საბანკო ანგარიშებზე (ტერმინალებზე განხორციელებული ოპერაციები).

შენიშვნა 6

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 წლის 01 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	972,300	839,242
გადახდილი ავანსები	106,775	105,864
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	431,404	363,800
სულ	1,510,479	1,308,906

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი - შენიშვნა 22

გადახდილი ავანსები (105 864 ლარი) მოიცავს იჯარის ხელშეკრულებაში შეტანილ პირობას, რომლის თანახმადაც მოიჯარე მეიჯარეს წინასწარ უხდის ერთი თვის იჯარის ღირებულებას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს ერთი თვისა და მეიჯარეს შეუძლია დეპოზიტზე არსებული თანხა გამოიყენოს გადაუხდეელი ვალდებულებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების პირობის მიხედვით თანხის ეს რაოდენობა მუდმივად უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, თუ მოხდება თანხის ოდენობის შემცირება სხვადასხვა დავალიანების დაფარვის მიზნით, მოიჯარე ვალდებულია აღადგინოს დეპოზიტის თავდაპირველი ოდენობა.

შენიშვნა 7

მარაგი

მარაგები 2019 წლის 01 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მზა პროდუქცია	109,589	88,062
სულ	109,589	88,062

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 397 616 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 8

მისაღები დივიდენდები და პროცენტები

მისაღები პროცენტები 2019 წლის 01 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მისაღები პროცენტები	35,100	4,018
სულ	35,100	4,018

შენიშვნა - 22

შენიშვნა 9-10

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები 2019 წლის 01 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	2,206,491.00	2,360,605
სხვა გრძელვადიანი სესხი	0	432,497
	2,206,491	2,793,102
მოკლევადიანი		
სხვა მოკლევადიანი სესხები	18,700.00	30,000
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	261,298.00	349,750
	279,998.00	379,750
სულ სესხები	2,486,489	3,172,852

სხვა მოკლევადიანი სესხები - შენიშვნა 23

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2025 წლის 24 აგვისტო. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7.4% (2018 წელს 7.4%). გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 11

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 01 იანვრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	3,309,287	2,903,929
მიღებული ავანსები	0	0
სულ	3,309,287	2,903,929

შენიშვნა 12

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2019 წლის 01 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	0	5,736
საშემოსავლო გადასახადები	11,889	10,485
დღგ	19,635	24,108
სულ	31,524	40,329

შენიშვნა 14

ამონაგები

	2019
საქონლის გაყიდვა	1,103,538
მომსახურების გაწევა	3,310,612
სულ	4,414,150

შენიშვნა 15

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მიმდინარე წელს შეადგენს 397,616 ლარს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებთან. მარაგოს თვითღირებულების შეფასების მეთოდად გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

შენიშვნა 16

მიწოდების დანახარჯები

მიმდინარე წლის მიწოდების დანახარჯები შეადგენს 2,015,460 ლარს, რომელიც მოიცავს კომპანიის ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ მიწოდების დანახარჯებს (რეკლამის ხარჯები, ფილმების გახმოვანების დანახარჯები, გახმოვანების დანახარჯები და ა.შ.) დაკავშირებულია მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებთან.

შენიშვნა 17

ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2019
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაციული)	276,771
იჯარის ხარჯი	295,203
ოფისის და სამეურნეო ხარჯი	7,408
საკანცელარიო ხარჯები	1,773
კომუნალური მომსახურების ხარჯი	216,410
კომუნიკაციის ხარჯი	1,683
დაზღვევის ხარჯები	23,584
რემონტის ხარჯი	26,968
ტრანსპორტირების დანახარჯები	8,250
ცვეთა და ამორტიზაცია	494,516
სულ	1,325,597

შენიშვნა 18

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(98,088)
სულ	(98,088)

შენიშვნა 19

სხვა ხარჯები

	2019
ბანკის მომსახურების ხარჯი	26,376
ქონების გადასახადი	23,150
მოგების გადასახადი - სხვა	
სულ	49,526

შენიშვნა 20

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

<i>ფინანსური დანახარჯები</i>	2019
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ	
ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(204,523)
სულ ფინანსური დანახარჯები	(204,523)

<i>ფინანსური შემოსავალი</i>	
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე	
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	43,322
სულ ფინანსური შემოსავალი	43,322

ნეტო ფინანსური დანახარჯები	(161,201)
-----------------------------------	------------------

შენიშვნა 21

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	31,441

შენიშვნა 22

ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ საწარმოებზე გაცემული სესხი	2019 წელი
საწყისი ნაშთი	367,818.00
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	451,677.00
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(384,074.00)
დარიცხული პროცენტი	43,322.00
მიღებული პროცენტი	(12,240.00)
სულ პერიოდის ბოლოს	466,503.00
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფ საწარმოებზე გაცემულია სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთია 17%.	

შენიშვნა 23

ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ საწარმოებიდან მიღებული სესხის ოდენობაა 30 000 ლარი, 2019 წლის 30 ნოემბერს მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა - 11 300 ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტი მიმდინარე წელს არის 4937 ლარი, ხოლო 2018 წლის განმავლობაში 5 100 ლარი.

შენიშვნა 24

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:

	2019
მომსახურების და საქონლის რეალიზაცია	
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	2,391,174.00
სულ	2,391,174.00
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსთვის საქონლის და მომსახურების მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.	

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2019
მომსახურების და საქონლის რეალიზაცია	
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	1,971,306.00
სულ	1,971,306.00
ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან საქონლის და მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.	

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2020 წლის 31 აგვისტოს.